დამტკიცებულია:
სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის
საზოგადოებრივი კოლეჯის
დირექტორის
2018 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებით N 04-16
დანართი N-1
დირექტორი: თ.ასათიანი

საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებისა და ანაზღაურების წესი

მუხლი 1. საწარმოო პრაქტიკა

1. საწარმოო პრაქტიკის მიზანია სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯში (შემდგომში - კოლეჯი) მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავება;

მუხლი 2. საწარმოო პრაქტიკის ობიექტები

1. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით პროფესიული სტუდენტების განაწილება მოხდება კოლეჯის პარტნიორ საწარმოებში.

მუხლი 3. საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელი პირი

1. საწარმოში საწარმოო პრაქტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს:
ა) კოლეჯთან დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი უფლებამოსილების განმახორციელებლი საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი;
ბ) უშუალოდ საწარმოში დასაქმებული პირი, რომელიც აღჭურვილი იქნება საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებით;

მუხლი 4. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები

1. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი:
ა) უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების განაწილებას საწარმოში;
ბ) ათანხმებს საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა ვიზიტის განრიგს და აღნიშნულ ინფორმაციას აწვდის კოლეჯის ადმინისტრაციას (სასწავლო პროცესის მენეჯერს);
გ) ახორციელებს ყოველკვირეულ (კვირაში ერთხელ) ვიზიტს საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა დასწრების მონიტორინგის მიზნით და ვიზიტის შედეგების შესახებ ინფორმაციას აწვდის კოლეჯის ადმინისტრაციას (სასწავლო პროცესის მენეჯერს);
დ) ამოწმებს პროფესიულ სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის დღიურებს;

ე) აფასებს პროფესიულ სტუდენტებს საწარმოო პრაქტიკის კომპონენტში.

მუხლი 5. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელისათვის ანაზღაურების გაცემის წესი

1. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელს საწარმოში ვიზიტი აუნაზღაურდება სამი აკადემიური საათის ოდენობით, საწარმოში ვიზიტის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე;
2. ანაზღაურების ოდენობა თითო აკადემიური საათისათვის განისაზღვრება საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელთან გაფორმებული შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 6. საწარმოსათვის ანაზღაურების გაცემის წესი

1. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით საწარმოსათვის ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯსა და საწარმოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასფუძველზე.